# ააიპ "ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანები" საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

ქ. ქუთაისი

11 ივლისი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით სარალიძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

გიორგი ბუაძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" შესყიდვების კოორდინატორი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ზაკურ თათელიშვილი – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მთავარი ბუღალტერი, საკონკურსო კომისიის წევრი.

გოვი გოცაძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" იურისტი, საკონკურსო კომისიის წევრი.

კოტე რატიანი – ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი საკონკურსო კომისიის მოწვეული წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" და გაერთიანების ფილიალების (35 ბაგა-ბაღი) შენობების კაპიტალური რემონტის და კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.

განხილვა: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ბუაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი 11.07.2011 წელს 11სთ-ზე და 25წთ ზე წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა.

1.შპს "გალაქსი პალასი" ს/ნ 412674823.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადებების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციების განხილვის ვადათ განისაზღვრა 2011 წლის 11 ივლისის 13:00 საათამდე პერიოდი.

შპს "გალაქსი პალასი"-ს ს/ნ 412674823 მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები არ შეესაბამება "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

რადგან საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ იყო მითითებული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით სარალიძემ და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ზუაძემ კომისიის წევრებმა – გივი გოცაძემ; ზაკურ თათელიშვილმა.

დაადგინეს:

"კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე განხორციელდეს შპს "გალაქსი პალასი"-ს ს/ნ 412674823 დისკვალიფიკაცია.

საკონკურსოკომისიის თავმჯდომარე: დავით სარალიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი ზუაძე

კომისიის წევრები: ზაკურ თათელიშვილი

გივი გოცაძე

კომისიის მოწვეული წევრი: კოტე რატიანი